<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლისთვის მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლეს მიენიჭოს მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია
CHESS FEDERATION GEORGIAN 1877

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია
GEORGIAN CHESS FEDERATION

№ 204 (17)

„20" „აგვისტო" 2021 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

2021 წელს ჩვენი ქვეყნის ლეგენდარულ ქალბატონს, ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის, ოლიმპიადის თერთმეტ გზის ჩემპიონს, მეოცე საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენ ქალს ნონა გაფრინდაშვილს შეუსრულდა საიუბილეო თარიღი - 80 წელი.

გამოვხატავთ ქართული საჭადრაკო ოჯახის სურვილს და მოგმართავთ თხოვნით, ვერის ბაღში მდებარე (კოსტავას ქ. 37ა) ჭადრაკის სასახლეს მიენიჭოს ნონა გაფრინდაშვილის სახელი.

პატივისცემით,

პრეზიდენტი

გიორგი გიორგაძე

თბილისი 0179, კოსტავას ქ. 37ა. ტელ.: 2 98 27 47 ელ.ფოსტა: Geochessfederation@gmail.com ; www.gcf.org.ge
Kostava Str. № 37a. 0179 Tbilisi; Tel.: (+995 32) 2 98 27 47; E-mail: Geochessfederation@gmail.com; www.gcf.org.ge

SOCAR ENERGY GEORGIA



ნონა გაფრინდაშვილი

ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი , მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, 11 გუნდური და 9 პირადი ოლიმპიური ოქროს მფლობელი. ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი 1989-1996 წლებში, 1996 წლიდან მისი საპატიო პრეზიდენტი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი. თავისი თაობის მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალი.

ნონა გაფრინდაშვილი დაიბადა 1941 წლის 3 მაისს ზუგდიდში მასწავლებელ ტერენტი გაფრინდაშვილისა და ვერა გრიგოლიას ოჯახში.

ჭადრაკის თამაში ნონას 5 წლისას ასწავლეს ძმებმა. სწორედ მათი მეშვეობით მოხვდა ნონა ზუგდიდის ნაკრებში, რომელიც 1953 წლის ზაფხულში ბათუმში გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობდა. სწორედ ამ ტურნირზე შეამჩნია ის ჭადრაკის ცნობილმა პედაგოგმა ვახტანგ ქარსელაძემ, მისთვის ჩვეული დიდი ინტუიციის წყალობით, მაშინვე გამოარჩია. ნონა გაფრინდაშვილი 1954 წლის სექტემბერში სწავლის გასაგრძელებლად და ჭადრაკში შემდგომი დაოსტატების მიზნით საცხოვრებლად გადავიდა თბილისში.

ნონამ თბილისის ქალთა 1955 წლის პირველობაში მეორე ადგილი დაიკავა. შემდეგ რიგაში მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ პირველობაშიც ისახელა თავი. კიდევ უფრო თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა მან 1956 წელს, როცა თბილისის ჩემპიონი გახდა ქალთა შორის. ამავე წელს ნონა პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის. ბოლო ტურნირში, რომელშიც

რესპუბლიკის სხვა უძლიერეს მოჭადრაკეებთან ერთად ცნობილი მოსკოველი მოჭადრაკეები ო. იგნატიევა და ნ. ვოიცეკი მონაწილეობდნენ, 15 წლის ნონამ 16 შეხვედრაში 15,5 ქულა დააგროვა.

1960 წლის მიწურულს რიგაში საბჭოთა კავშირის ქალთა XX ჩემპიონატი გაიმართა, რომელსაც უნდა გამოევლინა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირის ოთხი საბჭოთა მონაწილე. ნონა გაფრინდაშვილმა ტურნირში მეოთხე ადგილი დაიკავა და პრეტენდენტთა ასპარეზობის საგზური მოიპოვა.

ნონა გაფრინდაშვილმა 1961 წელს დიდი უპირატესობით იპირველა პრეტენდენტთა ტურნირში, 16 შეხვედრიდან 12,5 ქულა მოაგროვა და ორი ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ვ. ბორისენკოს.

1962 წელს გამანადგურებელი ანგარიშით — 9:2 დაამარცხა ელიზავეტა ბიკოვა და 21 წლისამ პირველად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. იგი მეხუთე მსოფლიო ჩემპიონი გახდა ქალთა შორის. ამის შემდეგ ნონამ ტიტული ოთხჯერ დაიცვა.

გაფრინდაშვილი 1963-1974, 1977-1986 და 1990-1992 წლებში მონაწილეობდა საჭადრაკო ოლიმპიადებში და საუკეთესო მაჩვენებელი აქვს ოლიმპიური ჩემპიონობის რაოდენობით. ის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის 11-გზის ოქროს— სსრკ ნაკრებში; 1992 — საქართველოს ნაკრებში და ერთგზის ვერცხლის მედლის მფლობელია გუნდურ ჩათვლაში, ინდივიდუალურად კი მოპოვებული აქვს 9 ოქროს, 3 ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მცირე მედლები. სულ ოლიმპიადებზე ჩაატარა 128 პარტია